პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის, კალათბურთელის სულიკო თორთლაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს სპორტსმენის, კალათბურთელის სულიკო თორთლაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

NAPR
ბაგრატიონის III ქუჩა
ნინიაანების ქუჩა
ოთხმეტრიანი ქუჩა
1 : 22

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

11 / ივნისი / 2025 წ.

KA011733293656625

06-032516329-03

№ 130162

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 9 ივნისს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოსულია ხატია მარგალიტაძის (პ/ნ: 01019068471) NM25007045 განცხადება, სადაც მოთხოვნილია შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დასახლება ოქროყანა; ქალაქი თბილისი, ქუჩა ნადიკვარი, N 34-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდით N01.18.01.002.309.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.18.01.002.309) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

განცხადების ნომერი: M25007045

მომზადების თარიღი: 11/06/2025

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

13 / აგვისტო / 2025 წ.

KA011721721193525

06-0325225 29-03

№ **182652**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 8 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M25009964 განცხადებით მომართა მოქალაქე სათუნა ტოგონიძემ (პ/ნ: 01012003048) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ქუჩა ბევრეთი (საკადასტრო კოდით 01.18.01.002.001).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდით N 01.18.01.002.001) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

N

მომზადების თარიღი .08.08.2025

გადაწყვეტილების ნომერი M25009964

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532963**
თარიღი: **25/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 16 ივნისის საქმე #06-032516329-03 დაკავშირებით, რომლითაც ხატია მარგალიტაძის N M25007045 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია ნადიკვრის N 34- ის მიმდებარედ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.01.18.01.002.309).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ კრწანისის რაიონში, თაბორის მთის ქუჩის და სულიკო თორთლაძის ქუჩის სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სულიკო თორთლაძე

(1919-1982)

ქართველი კალათბურთელი, პედაგოგი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი (1967), საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 11 წლისამ დაიწყო ვარჯიში გივი კილაძის ხელმძღვანელობით. თამაშობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდ „ნაუკაში", რომელიც საკავშირო შეჯიბრებებში ასპარეზობდა. ამის შემდეგ გადავიდა ქუთაისის „დინამოში". 1945–1951 წლებში თბილისის „დინამოში" თამაშობდა, რომლის შემადგენლობაში გახდა სსრკ-ის ჩემპიონი (1950), ასევე ვერცხლის (1947) და ბრინჯაოს (1948) პრიზიორი, სსრკ-ის თასის მფლობელი (1949). მისი აღზრდილები არიან: ზ. საკანდელიძე, მ. ქორქია, ნ. დერიუგინი, გ. დარსაძე, ზ. გრძელიძე და სხვები. 30 წელზე მეტი ხელმძღვანელობდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას ქუთაისში.

1961 წელს სულიკო თორთლაძეს მიენიჭა საქართველოს, 1967 წელს - სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება, 1971 წელს კი სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

გარდაიცვალა 1982 წლის 9 მაისს. დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 2019 წლის ნოემბერში ლეგენდარული ქართველი მწვრთნელის, სულიკო თორთლაძის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ქუთაისში საინტერესო ღონისძიებები მოეწყო: სახლში, სადაც სულიკო თორთლაძე ცხოვრობდა, გაიხსნა მემორიალური დაფა ბარელიეფით; საკალათბურთო საზოგადოებამ სულიკო თორთლაძის ხსოვნას პატივი მიაგო ქუთაისის პანთეონში; სასტუმრო „ბაგრატში" მოეწყო სულიკო თორთლაძის შესახებ ბიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია და ყველა მსურველმა მისი ავტორის, ზურაბ ჯავახაძის პერსონალური ხელმოწერით აღნიშნული წიგნი საჩუქრად მიიღო. აქვე გაიმართა სულიკო თორთლაძის შესახებ ისტორიული, დოკუმენტური ფილმის ჩვენება.